




მათრახი

იუმორისტ. ჟურნალი

№ 7

გამოვა ყოველ-კვირაობით, თუ ჩვენი კორესპონდენტები ხელს შეგვიწყობენ. მისამართი: Тифლისь, Типог. Шрома, «Матрахи»

მოულოდნელი მარცხი.



1232

ს ი მ ლ მ რ ა (მოზრდილი ერშისა)

დიდი ხანი ვაქანებდი,
მე ამ საქანელასაო,
და სიამით ვლიღინებდი:
„ოდელია დელასაო“.

იქაც ვიყავ, აქაც ვიყავ,
ვახარებდი ყველასაო,
მე ჩემს დღეში არ შევყრივარ—
ამისთანა ბელასაო:

ულოდნელად მომივიდა,
ცოტა მარცხის მავგანიო,
გამიფუჭდა სათამაშო,
მოზრდილების აკვანიო!

წავედი და დიდ წუმპეში
გავადინე ტყაბანიო,
მაგრამ პრესას ხომ მივეცი—
საკამათო საგანიო?!“.

მათრახოსანი.

გული არ ტყდება.

თუმც არ იქნა, ცხოვრების ცას
გაშუქება არ ეშველა:

მზე ტყვეთა ჰყავთ შავს მთას იქით
და აქ ბარში ისევ ბნელა.

მაინც ვუვლი გულის წალკოტს,
შიგ იმედი ისევ ყვავის,
არ ვნებდები ბედით ყორანს,
საზარი ხმით რომ დამჩხავის;

ველარ მაკრთობს ჯოჯოხეთის
მრისხანებით საესე ქშენა;
რალაც ძალამ „რწმენის ციხე“
გულში მტკიცეთ ააშენა!

შიგნიდან ის არ ვატყდება,
გარედან თვით ვდგევარ მცველათ,
და მიზანსაც ნდომის რაში
წინ გაიტანს, უეჭველათ!

ქამს მწუხრისას სევდის სიო
დაჰსისინებს მინდორ-ველსა...
რათ გალალდა?.. უხარიან
რომ სიკვდილი იქნევს ცელსა?!

ქამს ცისკრისა ის უგნური
სად გაითხრის, ნეტა, საფლავს?
განთიადის ნიავე მას

არ დაინდობს, უღვთოთ ჩაჰკლავს!..

და ჩემს გულში „რწმენის ციხე“
მიუვალი, მაგარია!

შიგ იმედი უცხოთ ჰყვავის,
ციხეს წმინდათ აბარია.

განთიადზე ფრთებს აიწყობს,
სალამს სტყორცნის მზისა სხივებს
და ის შუქი გამოუხმობს,
გედებსა და გმირ-არწივებს!

ლიახ!.. გული კი არ ტყდება,
შიგ იმედი უცხო ჰყვავის,
არ ვნებდები ბედით ყორანს,
საზარი ხმით რომ დამჩხავის!..

ნ. ზომლეთელი.

ვირი და ბუ

იგავისებური.

(დასასრულად.)

მოისმინა ვირმა რა ეს,
შეებრალა მას ბუ ძალზე,
ნუგეში სცა და შემდეგ-კი
შეეკითხა თავის თავზე.

— ღიახ, გეტყვი, შენი ძველიც
მეფე იყო ცხოველთაო,
დიდი თავის მქონე გმირი
ჰპატრონობდა ყოველთაო,

მარა მასაც წილადა ხვთა
დალუპვის და შავის დღენი...
ერთ მისს ერთგულ ბედაურსა
შეუყვარდა ჰაკი ცხენი.

თავის სატრფოს სილამაზით
ბედაური ამაცობდა,
თავმოწონეთ ფაფარს შლიდა,
ყურს აცქვეტდა, ტორებს სცემდა ..

ბედაურის ასეთ აღერსს,
რა თქმა უნდა ჰაკიც გრძნობდა,
აეტუზა გვერდით ვაყას
და სულ მისთან ბალახობდა..

სწორედ ამ ღროს იმ ვირ მეფემ
მოისურვა სეირნობა
და რომ უკან გაჰყოლოდენ,
სხვა ვირებსაც მისცა ცნობა.

წამობრძანდა ვირი მინდვრად
და რომ ჰაკთან ვაყა ნახა,
შეეშურა...და ღიღის ხმით
მან ბედაურს შეუძახა:

— ვით გაჰბედე შენ წუნკალო
უზრდელობა, რას ჰგავს ესო?
გირჩევ, ეხლა, ამ წამშივე,
ჩამოშორდე მაგ ჰაკ ცხენსო!

— უკაცრავათ, უთხრა ვაყამ—
თუმცა მეფე კი ხარ ღღესო,
ღმერთიც იყო ვერ დაგიომობ
სატრფო არის ჩემი ესო...

ვირი მეტად გაგულისთა:
თავებდობას ვით ბედავსო!
და თვის მხლებელს შეუყვირა:
„არ გაუშვათ, ჰკათ მაგასო!“

ბედაურმა ნიშნათ ომის,
მაგრათ დაჰკრა მიწას ტორი,
მიამურა ბატონ ვირს და
უთავაზა ერთი-ორი...

გულ მოსულმა ბედაურმა
მარტო ესეც არ იკმარა,
სხვა ვირებსაც მიაცოლა
და ყველანი ძირს დაყარა...

და ცხოველთა, მეორე ღღეს
გაიგეს, რა ეს ამბავი—
ყოველი კუთხით მოგროვდენ,
მოიყარეს ერთად თავი.

მიესივნენ იმ ვირ მეფის
სასახლეს და დაანჯრიეს,
მერმე ვირებს დაერივნენ,
სულ ერთბაშით დაარბიეს.

შემდეგ ერთ ხმათ გადასწყვიტეს,
რადგან იყვნენ ყველა მდომი,
მხეტთა მეფეთ, სამუდამოდ,
დააბრძანეს მძლავრი ლომი.

და მას შემდეგ, იმ ვირების
შთამომავლობა და ძენი,
სახედრათ და სამუშაოთ,
გლენებსა ჰყავთ შენაძენი.

ასე იყო მეგობარო
ეს ამბავი ძველის ძველი
და ეხლა-კი აბა მათგან
რა სიკეთეს გამოელი?

თუ გიპოვეს დრო და ჟამი,
რა თქმა უნდა დაგლეჯავენ...
დასაქერათ შენტვის იმათ
შეჩენილი ტურა ჰყავენ.

და ეს ტურაც დღე კი არა,
ღამ-ღამობით გადაჯაჯობსა
და აწ კმარა რაც გიამბე
გირჩევ დროზე წასვლა სჯობსა..

მხოლოდ ზურგით შენ მატარე,
გზას კი გამოენახავ მეო
და ამ რიგათ მგზავრობაზე
ფუქრი ნუ გაქვს, იყავ მხნეო.

დაასრულა, რა ეს ყველა,
ბუ ვირს ზურგზე დააფრინდა
და მისძახა: ვავსწოთო
თავის შველა თუ რომ გინდა.

დაეთანხმა ვირი რა ბუს,
გაეგზავრნენ ნელა გზაზე,
კოტა სიარულის შემდეგ
ზენდ მიაღწენ ერთ დიდ ხრამზე.

შეეშინა, შეკრთა ვირი,
უფსკრულ ხრამს რომ გადახედა,
ფრთხილად უკან დაიხია,
ახლოს დგომაც ვერ გაჰბედა.

და ბუს უთხრა: გზა არ ვარგა,
საძაგელი ხრამიოა,
ერთი ფეხიც რომ გადავდგა,
დავიმტროვი ძამიოა...

ბუმ მიუგო: ნუ ხარ ბრიყვი,
რაც არ იცი ნუ ამბობო,
მშვენიერი გზაა ეს გზა,
და შენ ტყვილად რისთვის გამობო!

— არა ძმაო,—უთხრა ვირმა,—
გზა აქ სულაც არ არიო,
დასამტროვი ჯურღმულია,
ჯოჯობეთის მავარიო...

მარა ბუ ვირს არ მოეშვა:
ბრმა ყოფილხარ ცხადიოა,
ანუ მხდალი უსაზომო,
თორემ გზა კი კარგიაო..

შერცხვა ვირს და გაიფიქრა,—
სწორედ ჩემი თვალეზიო
მატყულიებს, თორემ ნუ თუ
ბუს არ შევებრალებიო!

ამ ფიქრებით განაგრძო გზა.
და რომ გზადვარდა კლდეზე..
ბუმ-კი სწრაფად ფრთა ჰკრა ფრთასა
შემოჰფრინდა იქვე ხეზე.

და როს ვირი ძირს დაეცა,
თავ-ფეხ ცხვირ-პირ დამტვრეული,
სასიკვდილოდ თავი იცნო,
წაუვიდა საწყალს გული,

მარტოს სული ეცრებოდა
და ბუ გვერდით ველარ ნახა,
სხვა ვირების გასაგონათ
საოცარ ხმით შემომოსძახა:

„ვი იმას, ვისაც არ აქვს
თვისი თავის გაგებაო,
დღეს ერთს ნახავს მიენდობა,
ხვალ სხვის სიტყვას აჰყვებოა...“

რა თქმა უნდა ისიც ჩემებრ,
კლდეზე გადავარდებო!
ამისათვის ვურჩევ ვირებს,
რომ ბუს რჩევას და სხვის ხმებსო
ნუ ჰყვებიან, თორემ შემდეგ
დასწყევლიან ჩემებრ ბედსო!..

ირ. გოგოლაძე.

გამ ნაძალადევიდან (თბილისი)

რომ იტყვიან: „უბედურ ვანსკვლავზე დახადებუ-
ლია“, სწორედ ნაძალადევის თეატრზეა ზედ გამტკრილი.
კანის ჭკუა-გონება ვერ მოაგონებს უკეთესობას რა
მდგომარეობასშია ანის დღეს ნაძალადევის თეატრის
საქმე, მაგრამ მტერს არა სძინავს, ეს სიკეთე სიამო-
უნდა გამოიყუროს და შავი თეთრად უნდა დაანახოს სა-
საზოგადოებას!.. განა წარმოსადგენია რომ ამისთანა
მოამბეები და საზოგადო მოდუგავე ჰძრები, როგორც
ბრძანდებიან ი. ფ. და კ. ც. მადლიან საქმის სათავეში
იყვნენ ჩამდგარნი და ჩარხი უკუღმს დაუტრიალდეთ? არა
ავი ენების მოკონიდა! — ავ ენას უნდა თეატრის მოამ-
ბე მამები მამინაცვლად დაანახონ საზოგადოებას და მათ

ჩირქი მოსტხოს მათ სხეულს, გაზუთებშიაღ ხომ გამოად-
ხადეს რომ სსზოგადო კრება იქნება მოწვეულიო; ეს
რომ არ მოხთა რა იმათი ბრალა? ხომ მოწვევის ბარა-
თები აბობოქრებულმა ქარმა ხელიდან წაართვა დამტარე-
ბელს რამოდენიმე ცალი და ღანკრები კიდევ ღვინის სარ-
დაფში დააფიქსა, ეს რა მოთაგვების ბრალა? წარმოდ-
გენებიდან კიდევ იმოდენა ფული შეუარეფიათ რომ არ
იციან რომელ ბანკში მოათაგისონ და იმასაც კი შიშობენ
გზაში ახადენ წაართვან; სიფრთხილეს თავი არა სტკივს
ხომ გაკვირებით ვისკანმე და სწორედღ ფრთხილნი
ბრძანდებიან თუატრის მოჭირნახულებინც... რეჟისორი
გაქვითო რა არის რომ გაქვითო—იქნებ კუჭი ამომიბოდა,
რომ მიინელა აკი ისევე დაუბრუნდა თუატრს? თუ იმ
კვირას არა ერთი თვის შემდეგ ხომ გამართა საუცხოო
წარმოდგენები „ორი თბოლი“ და შემდეგ კიდევ დასდგა
„სოფლის გმირები“! აჲ ენებმა კიდევ განიმეორეს
„გენრიეტა ლუიზა“ და „გრედვე რანიკო“ ცუდით შე-
ასრულესო.. რა გასაკვირებელია ამ ხალხის შეხედულება,
ყველამ კარგათ რომ ითამაშოს შემდეგ ცუდი მოთამაშენი
სათ გაესტურდნოთ! ნამეტანათ იმისთანა მოთამაშენი,
რომლებიც ერთი თვე სწავლობენ როლებს აბა მითხრით
ამ მოკლე ხანში როგორ უნდა მოამზადონ? ეჲ მახლას.
იმასაც-კი ამობენ ბ. ც-მ მოთამაშენი შეურაცხყო ეწმა-
წური სიტუებით და მაიმუნებიც კი უწოდებო. აჲ ენებს
დაუწვევიათ, რომ ბ. ც-ს ამ დროს ბახუსის ღმერთი
უკმუდს საშეღეს, ამგვარ დამნაშავეს თვით მობრიტე-
ლი მოსამართლედ კი შედგათათ ექცევა და თქვენ ბ-ნო
მოთამაშენო ამ შემთხვევაში ურადეთ, თორემ თუ გაყარ-
და მთელ ღკვარცხენის სულ მატყვრ-მოატყვრეს..

კიდევ ხმას აგრძელებენ—რეჟისორი მოთამაშე ქა-
ლებს კარშეუბებო—ეს ხომ ასე უნდა იყოს, რეჟისორმა
წინათვე უხდა შეწყვიტოს მოთამაშე ქალები არშეიბას,
რომ ეს მოქმედება ფაქტურად გადავიდეს სცენაზე და
ეს აუღიებდებო! ასეთია ბ-ბო დღეს ნამადადგეის
თუატრის გამტეობის მოქმედება:

ჩემი რეჟისორი ვერაფერი ცუდი ვნახე გამტეობის
მოქმედებაში, მხოლოდ ვიტყვი—თუ ეს ასე ბოლომდის
გატრეულდა უკმუდლათ თუატრის საქმე სამუდამოზ „აუ-
ფადება“.

შუშუნა

სხვდინანი კუპლბები.

(გულის აღბომიდან).

ეჲ დროებავ, უღმობელო!
რად გამწირე ავრე სრულად,
რომ ეს გული ვერ ისვენებს,
მულამ არის ვაბასრულად!..

ვინც მე მიყვარს, მას უყვარვარ—
იგი ჩემთან არის შორათ,

ის იქ დარდობს, მე აქ ვსწუხვარ—
ვიტანჯებით თანასწორათ!..

ეჲ დროებავ, უკუღმართო!
ავრე რიგად რად გამწირე,
რომ ვაჟაკი, ღონით სავსე—
დამასუსტე, ამატირე!

სხვას ვერ ვეტყვი მე ჩემს დარდებს—
რა მიწუხებს, რა მიღონებს
და რომ უთხრა—განა ვინმე,
რამე ნუგეშს გამაგონებს?..

დარდიანიძე.



გოგია და პავლია.

(ორი ეშმაკიანი.)

გოგია. პავლიავ შავ და რაფერ დაგვეკარგე
ქოვ ხორცათ! დალაობა ხომ არ იშონე ქუთაის?

პავლია. დალაობა იგენს ქონდეს და იმისანა
გაფიცვები კი მოვკვარაჰინეთ ქალაქებში ძმავ, რომ
ცხონებული ახალთაობის დროი მონაგონი არ იყო.

გოგ. შენ გაზეთებში თუ რამეა ახალი იგი
მითხარი ძამიავ, თვარა გაფიცვაზე ამგაისიზა ჩვენც
ჩახმახივით ვართ მოწიპული მემამულეებთან.

პავ. გაზეთებში რაი ყარდაში, ამას კი შეიტ-
ყობდი გომართელს რომ გამოაჩნთა ნაშუშნი და
პარტიიდან ზე გუუძახეს.

გოგ. რას ხუმბრობ ქოვ! იგიც მიემატა მამუ-
ლიშვილებს!

პავ. რავა ყაზილარსავით ჩივი?! დასტურ თლა
კი არ გახულიგანებულა. რაცხა ეროვნულ საკითხ-

ზე გადიქანა. დასურ გომართელზე გამახსენდა, აგი რაფერაა სანაგვე „ერის“ კლოუნი რომ ციგნობს: ვადაქკორია, ჯორბენაძე და ქყონია გომართელს დაქყანვიან—შენ უაქიმე ხალხს და ჩვენ ფულებს ავიღებთო. მერე ვითომ გომართლის ჩუმათაი ღარიბებიზაც ფულეები გარდულებთევიანებიათ, სამკითხველოიზა რამდენი გადადებულა და რამდენი ჯიბეში ჩადებულა, გელოვანის ნორჩი პარლამენტის ვეფერს გაიგებსო!

გოგ. ძამიავე კვირიკეს და მის კორესპონდენტის ნორჩი ტვინი ვერ გაიგებს თვარა ჩვენ გაგებულიც გვაქ და დამტკიცებულიც. იგენი არა თვითონ გომართელი დიექყანა ვადაქკორიას და ქყონიას მოგვეხმარეო, ჯორბენაძეს გზათ არ გაუარია, ქყონია ერთ ღღეს ტყულაი ნომრებს სწერდა ფულეებიზა თითი არ მიუწეწებია, ვადაქკორია კი იმდენს ხანს ტყულათაი ეხმარებოდა. მანეთის და ათი შაურის გადახთიება გომართელის ბრძანება იყო და რამდენი ღარიბები უფულოთ გეისინჯა ჩეკით დამტკიცდა. დარჩენილი სამას ოცდაშვიდი შიშველი მანეთი გოსუდარის კასაშია სამკითხველოს გახსნამდი ჩარაზული.

პავ. კაცო, კაი იგი კვირიკეა თუ ვირიკე იმან და მისმა გაზეთმა სიმართლე რომ სთქვან გიკვირდეს, ტყუილი რა საკვირველია, მარა აი, პატივი აქა და კორესპონდენტი ვინდა?

გოგ. ა ჩემი სიკეთე, ვირიკეს კორესპონდენტი ვინ იქნება თუ არ ჯორიკე?! რავე შენ კი უნდა იცნობდე აგერ ერთი ყაზილარი რომაა:

თავ მჩატე, გულ-აგდებული,
კლასიდვან გამოგდებული,
უმუშეირი, ჩერჩეტი,
მძუგავი, ენა მტეტტი.

პავლ. ხა, ხა, ხა, ხა. ახლა კი მიეხთი, მარა აი გამეცინა, რავე ზაზანდარსავით შეამკვე, მარა მოგიკეტეს პავლე ვარესი თუ თქვას.

ვირიკე სწერს: ჩვენ მოდგმისავ,
შვილო კოკი ჯორიკეო,
ოღონდ ჯღაბნე დასელებზედ
თუნდ მთლად მოიჭორიკეო.

სილოვან და უროს ძალმა
შენ გაგზარდა ქოჩორაო,
ჩვენი ჩამომავლობის ხარ,
ჩემო კარგო ჩოჩორაო.

გაიზრდები რა იქნები,
ვენაცვლე შენს კიქებსაო,
მე ყროყინსა შეგასწავლი,
სილოვან-კი—ტლინკებსაო.

გოგ. ხა, ხა, ხა, ხა. შენი ჯობს ძმაო შენი, „სპაკოი ნოჩ“.

პავლ. ხი, ხი, ხი, ხი. „დასვიდანე“.

შხანკოლა.



მესტვირული

(ფოთისათვის*).

რამდენიც უნდა მაწეალონ
თუგინდ დამიკონ პირია,
მე მაინც მინდა მოვმართო
ჩემი ქამანჩა სტვირია...
ბოროტებისა მოშურნე
ამ დროში ყველგან ძვირია,
რომ ძმა ძმას ჰყიდის, დედა შვილს
მიტომ მეც მოვსთქვამ, ვსტირია...
არ დამეჩუტო ქამანჩავ
დროზე ვსთქვამთ რის თქმაც გვეკირია,
მოდო მივადგეთ „უპრავას“
იქვე დაგვთება გზირია,
ვკითხვით სოლომონ გვასწავლოს
საამდროისო გმირია...
რომ გაისივა ჩინჩახვი
და გაიწითლა ცხვირია...
უთხრათ: დაფიქრდეს, ისწავლოს,
სინდისი უნდა გოგრასა
ქალაქის საქმეს მიხედოს
სჯობს „იმის“ არ შეიყობასა.

*) ამ მესტვირულის დაბეჭდვა სხვა-და-სხვა მიზეზების გამო დაგვიანდა.

იქვე არს ცნობილი „გმირი“ როსტომაშვილი გვარათა, ელექტრონისა სადგურის დამფსები ძალის ძალათა... სამღროისო მკლავაძეს, სინდისი უღირს ჩალათა!

მარცხენა ჯიბის ტენვაში ვგონებ აღარ ჰყავს ცალია ეხლა მაგისა კბილები ხალხისგან დანათვალთა, ველარ გარეცხავს მაგ საწყალს ვგონებ რიონის წყალია და ჩვენც მათრახი მივარტყათ, ხტებოდეს როგორც კალია. კოწიაც იქვე ჩამჯდარა, ეგ აბრეშუმის ცალია, საქართველოზე ფიქრებით სახეზე მუდამ მწყრალია...

იქნებ მიხაკოს იკითხავთ კისერი მოუღერია, შნოზე გამძღარა ნალღეტით მუცელიც გაუბერია, სიცრუე უყვარს ხონელსა და სიმართლისა მტერია, და რალა გასაკვირია ქანქარი თუ აქვს ბევრია, ეხლა შევიჩრდეთ ქაშანჩავ ვგონებ, რომ ზომიერია, დანარჩენს შემდეგ ვასამინოთ რაც დაგვრჩა დასამღერია.

ხვლიკი.

ღ ე კ ე შ ე ბ ი .

ჭიათურა. მეზავოდე ბერენტი, თავისი ზავოდლიდან დაბრუნებისას გაეკვება ხიდის ქვეშ. გამოწერილია ბერლინიდგან პარავოზი, გამოსაყვანათ.

— „ჩისტლიშჩიკი“ აისორი წაიკითხავს კვირას ლექციას შემდეგ ტემაზე: ვაქში და მისი პიგიენური სარგებლობა და მაზი და მისი მავნებლობა ჩვენს საზოგადოებაში.

— რადგან თეატრში წარმოდგენები ქიანურდება და ორშაბათ დილას უძნელდება „პოდრიაჩიკებს“ ადრე აღვგომა, რათა სასწორზე ადრე დაესწრონ მეურმეებს, დასმა კეთილ ინება და განიზრახა პიესების შემოკლება.

სატანა.

ბათუმი. ქან, შინ, წილ, კან, გან, სან, ან განყოფილების გამგეობამ უკვე დაავალა აქ მცხოვრებ მანდილოსნებს, რათა აღსდგენ და ჩამოიარონ მათხოვრებათ კარის-კარ. ესენი მოაგროვებენ ნივთებს 14 იანვრისათვის სალატარიოთ, რომლის ნაშავლით ისარგებლებს ე. წ. ბათუმის „ქართული

შკოლა“. საუკეთესო მათხოვარს საუკეთესო ჯილდოს ჰპირდებიან ე. ი. სიკვილის შემდეგ საუკეთესო შინაარსიან ნეკროლოგს.

— მასწავლებელმა ერმილე შარაშიძემ, ქალაქის თვით-მართველობას სთხოვა: თერთმეტი წლის სამსახურის გამო, ცოტა ჯამაგირი მომიმატეთო. როგორც ამბობენ, თვით გამგეობას თხოვნა შეუწყნარებია, მარა არა ჯამაგირის მხრივ, არამედ 50 მოწაფის მომატებით.

— „ბათუმის გაზეთში“ კორექტურული შეცდომები, როგორც იყო შემცირდა. ჯერ-ჯეჯობით თვითეულ №-ში 600-დეა, მოსალოდნელია 1000-ც ავიდეს.

ბალჯანია.

(ზეინაბის სააგენტო)

ფოთი. ამა წლის 47 დეკემბრისთვის დანიშნულია ჩვენი თანამემამულე უნიკიერეს მგონის ლ. გეგეჭკორის იუბილე, მისი 30 წ. სალიტერატურო ასპარეზზე მოღვაწეობის აღსანიშნავათ. ყურება უფასოა.

— აქაურ მამულისშვილებმა შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნეს „ერის“ რედაქციას: „დიდათ აღვაშფოთა პოლიტენიკუმის ნავთლულში გადატახამ. სასტიკ პროტესტს უცხადებთ სოჭებთა პლუტოკრატის შოვინისტურ ოინბაზობისათვის“. მამულისშვილთა მონდობილობით ნ. ჟღენტი.

ოზურგეთი. ვასილმა გამოსათხოვარი პანაშვილი გადაიხდა ქალაქის აფთიაქის გახსნის გამო. პანაშვილს დაესწრნენ: ახალგაზრდა აქიმი არსენი, ხურნაგიული ექიმი იავორ და ცნობილი პირები— სეტო, ნესტორი, დიტო, კოწო და ფეხუცა საპოენიკი კოლია.

ნატანები. სიმონის ყავახანაში სეზონი უკვე გაიხსნა, ლექტორები ჩამოვიდენ.— ლექციებს ზოგიერთი ხე-ტყის მუშები დიდ თანაგრძნობას უცხადებენ.

(წელავის სააგენტო)

ოზურგეთი. ანტიპრეს მკლავაძისტების პარტიამ შემდეგი მოწოდება გამოუშვა: „შემოკრბით ყველამ განსაკუთრებით ქალეძმა, ჩვენს დროშის ქვეშ, რომლებიც პრესისაგან ხართ შეკბენილნი, ჩვენ ვკისრულობთ თქვენს პატრონობას“. ხელს აწერს პარტიის ნაფიცი ვეჭილი: გერმანე I.

— დღეს სამკითხველოს დაკეტვის დროს ვნახეთ შიგ „ბიბლიოტეკარმა“, რადგანაც სიცივეები დაიწყო საკითხველოში იჯდა.

„სატანას“ სიმღერა.

ჩემო კარგო ჭიათურავ
რაზედ მოგიწყენია?
ახლები თუ გლალატობენ,
ძველები ხომ შენია?!
სადგურზედა გამოსულან
ქალები და ძენია,
ბევრი მათში იპოვება
საიმედო გენია,
თუმცა ეხლა გლალატობენ,
ბოლოს მაინც შენია;
გონზე მოვლენ, ეგ სიგიჟე
დროებითი სენია.

ჩემო კარგო სამფლობელოვ
რაზედ მოგიწყენია?!
აი, თუნდა ეს ყმაწვილი
დროით განაცდენია,
დღეს გ.....ის შეუპყრია,
ხვალ რკოდე შენია,
ოღონდ თქვენი „კუდინისა“
გახდეს შენაძენია...
რა უყოთ, რომ ყველას მოსწონს
მისი ნაზი ფერია,
მაღე წავა, ნუ გახდებით
ერთმანეთის მტერია...

შენ კი ჩემო ჯოჯოხეთო,
რაზედ მოგიწყენია!
ეშმაკმა თუ გილალატა,
სატანა ხომ შენია?!
ან თუნდა ეგ ჯორჯალაძე,
ხომ გამოსაჩენია?
ბაქანზედა მუხლ-მოდრეკილს,
ნუ თუ არა სცხვენია?
ერთ ქალიშვილს ვეგრდება:
(ალბათ თუ აწყენია)
„მაბატიე შენ ქალწულო,
ან მომისპე დღენია“...

ორთავ თვალის სინათლეო,
რაზედ მოგიწყენია!
თუ ცოცხლები გლალატობენ,
ეს „მჩვარი“ ხომ შენია?!
სამკითხველოს გაურბიან
თუმცა ეგ საწყენია,
მაგრამ მითხარ ეს ქვეყანა
აბა ვის შერჩენია?
ძველი წიგნების ფურცელაში
უნდა მოვსჯოთ დღენია?
წუთი სოფლად სიხალისის
მეტი რა დაგვრჩენია,
შორს წიგნები, გაზეთები,
ქლექის შესაძენია;
ისევ ღვინო და ქალები.
ქვეყანას მირჩენია.

ჩემო კარგო ჯურღმულეთო,
რაზედ მოგიწყენია,

გახალისდი, ამის შემდეგ
ნუ თუ არა გრძხვენია?!
იქნებ „შანტაისტობაში“
შეგიცვალა ფერია?
ეგ მოვლენა სხვაზე უფრო
შენი შესაფერია;
ამისათვის ნუ იღარდებ,
მაგი არაფერია;
მაშ იმღერე გენაცვალე,
დაალონე მტერია.

სატანა

დაბა სოფლები

ქ. ბათუმი. ქუთაისიდან გვესტუმრა
მანდილოსანი ზრდილია,
სახელ-განთქმული ექიმი,
ყველაფრით გამოცდილია.

„დიპლომი“ თუმცა არ ჰქონდა,
„რეკლამა“ კარგი ჰქონია!
„ხირურგიისკი“ კი იყო,
„ვენერიჩესკი“ მგონია.

თავის ტკივილსაც არჩენდა
ან თუ გიწუნდა გულისა,
იმის წამალსაც გაძლევდა
თუ გწავდა სიყვარულია!

შვილის ასაკულ წამლისთვის
სახელი ჰქონდა განთქმული
და უშვილობის წამალიც,
ქვაბებით ჰქონდა დადგმული.

მოსაკდა ხალხი ბუზივით
სნეულნი ერთობ ჯარია;
გონებით სუსტნი რომ ნახა
გაულო იმანც კარია.

იმ უშვილობის წამლისთვის
ბარიშნებია მოსული;
ვაყებთან ნახუნტრუცევი
ისე უქმაროდ ორსული!

ზოგს კუჭი სტკივა, ზოგს თავი
ამისგან ელის შვებასა,
ზოგს თავზე თმაი არა აქვს
ნატრულობს განკურნებასა!

გულში იცინის ელენე
რომ ნახა ხალხი ამგვარი,
ყველას ზრდილობით ემყრობა
ბლომათ იჯიბა ქანქარი.

მხოლოდ წამალმა ვერ გასქრა!
არიან ისეფ ავთა,
ბევრმა ფულებით დაჰკარგეს
სტირიან საცოდავთა.

ის ქალბატონიც გაიქცა
ეტყობა ქუა ჰქონია,
იმდენი ფული წაიღო,
ის ახლაც მირბის მგონია.

სჩანს ამ ქალბატონს სკოდნია
ქანქარის შეცმაცუნება,
მაგრამ ჩვენც ვიცით, მათრანის
მირტყმა და მიტყაცუნება.

ისკანდერ.

ქ. ბაქო. (სწარსულთა ტანჯვის დღეობა).

„შახ-უსეინ, ვახ უსეინ“,
იძახოდენ სპარსელები,
მოწინავე რიგსა ეცვა
ტანთ შავი სამოსელები!

განზე მოლა მოჰყვებოდა,
მოყვანილი და დიდ წვერა,
თავის ჩეხის მოქადაგე,
მატყუარა, გაიძვერა!

შესდგა მოლა — სთქვა რაღაცა,
ზე აღაპყრო მან ხელები!
შახ-უსეინ, ვახ-უსეინ
დატრიალდნენ სპარსელები!

ნიშნათ რჯულის დასაცავთ
იჩეხავდნენ ხანჯლით თავებს
და სისხლი გადმოსდიოდით
ლია მკერდზე საცოდავებს.

მდიდრები კი ფანჯრებიდან
ნახულობდენ თვალის სეირს,
ბედნიერნი არ ეძებდა
არც შახსა და არც უსეინს.

სულელია, ამშარებთან
გაიჩეხოს ბეგმა თავი?
რა დაკარგა, რა ეძიოს,
ან რაი აქვს სანახავი?!

რჯული აძლევს საშვალებას —
იქირაოს ფულით მუშა,
მის სახელზე თავს გაიჩეხს!
თუ წამოღებმა მოუშუშა,

ხომ კარგია...და თუ მოკვდა
(ეშმაკი ვერ დააკავებს,
სამოთხეში შევა და იქ
ნახავს ათას სანახავებს!)

მოლაც ასე უქადაგებს:
„ცხონდება, ვინც დღეს მოკვდება,
მას სამოთხის კარების წინ
მაჰამედი შემოხვდება!

და წაიყვანს სამოთხეში,
ძირს დაუფენს ოქროს ფარდაგს,
მას ზედ დასვამს, არ მოაკლებს —
შირინ ჩაის და ტკბილ ბადაგს“.

ამაირად სტყუა მოლა,
თვალს გადაჰკრავეს ჰაჯს და ამქრებს
და აგროვებს თავ-გაჩეხილ
მუშებიდან კიდევ ქანქარებს!

რჯულიც მათ მტრობს, მოლაც, ბეგიც
ჩაგრავენ და აგინებენ,
მაგრამ მრწამს, რომ დადგება დრო
თავს იცნობენ, შეიგნებენ:

ლაჰმოზენ ამ ჩვეულებას,
თანაც მოლაღას თავ-ლახანას;
მაგარ სილას გააწვინან,
თელერანს და ბალახანას

158
1913

და ეტყვიან: „დალოცვილონო,
თვით იჩეხეთ თავებო,
თუ რომ გინდათ სამოთხე და
მისი სანახავებო!“.

ვაშა-ბაქურა.

წერილი რედაქციას.

ბ-ნო რედაქტორო! რადგან აღმნახნი „ქინკარი“ ყოველ-
კვირულად არ გამოდის და მე-კი ერთ კვირაში მთხოვდენ
პასუხს, ამიტომ ნება მომეცით თქვენი ჟურნალ „მათრანის“
საშვალეებით მოკლე პასუხი მოვასწენო აღმნახან კალანდაძეს:
თუ ასეხნეთ გაიხსნენთ და თქვენ იქნებით, თუ არა და — სხვა.

— ბ.

„მათრანის“ ფოსტა.

„ს ა თ ა ე ლ ს“ . თქვენს ბოლონდელს გამოგზავნილს
კუბლეტებს ვერ დავებუდავთ, რადგან პირველმა კუბლეტების
იმ ადვილმა, რომელიც ეხებოდა ვლ. ბ-ს, მეტად უსიამოვნე-
ბა გამოიწვია, როგორც სჩანს არავითარი იმგვარი არ მომ-
ხდარა, რასაც თქვენ იმ პირს აზრალბდით და რაღაც კერ-
ძო ინტერესებით გომოქმენდათ. მოიწერეთ განმარტება დაუ-
ყვანებლივ.



ჩვენი „უნენიკები“.